ტრენინგ-კურსი: სკოლის დირექტორთა (მოადგილეთა) პროფესიული განვითარება

მოდული: „ხარისხის მართვის მექანიზმები სკოლაში“ საჯარო სკოლების არჩეული დირექტორისა და მოადგილეებისათვის.

ტრენინგის მიზნებია:

მონაწილეები გაეცნობიან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების განხორციელების პროცესს და გაიაზრებენ ამ პროცესის მნიშვნელობას ხარისხის მართვის ციკლში;

მონაწილეები გაიაზრებენ: • ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპებს; • ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების მექანიზმების როლსა და მნიშვნელობას;

მონაწილეები შეძლებენ: • ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებისთვის საჭირო ცოდნის მიღებასა და უნარების განვითარებას; • ხარისხის განვითარების ციკლის დანერგვით სასკოლო პროცესის უწყვეტ განვითარებასა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას; • ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად სკოლის საჭიროებაზე მორგებული აქტივობების დაგეგმვა/განხორციელებასა და მიღებული შედეგის შეფასებას.

მოდულის მისაღწევი შედეგებია: ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეები შეძლებენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებისთვის საჭირო ეფექტიანი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას სკოლაში

მოდულის ხანგრძლივობა და დროში განაწილება: 12 საკონტაქტო საათი, 3 სესია, ერთი სესია - 4 საათი.